ი.მ ,,ვერიკო მახვილაძე მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია”

კორექტირებული პროექტის მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი

ქალაქ თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №8, პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დამხმარე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების კალენდარული გრაფიკი დარჩენილ სამუშოთა შესრულებაზე

დირექტორი		ვ. მახვილაძე
პრ. მთ. არქიტ.		თ. შაშიაშვილი
პრ. მთ. კონსტრ		ბ. ბარბაქაძე
შეადგინა		ნ. მურჯიკნელი

თბილისი
2026 წ.

განმარტებითი ბარათი

1. აღნიშნულ მისამართზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2023 წლის 05 სექტემბერს გაცემილია მშენებლობის ნებართვა ბრძენებით №6647824;. შეთანხმებული პროექტების მიხედვით უკვე შესრულებულია კალენდარული გრაფიკით გათვალსწინებული სამუშაოების ნაწილი, კერძოდ პირველი რიგის სამუშაოების I - II ეტაპი და მეორე რიგის სამუშაოების III ტაპი დაწყებული IV ეტაპის სამუშაოები, რომლის გარკვეული ნაწილიც უკვე შესრულებულია.

2. დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე მოხდა შეთანხმებული პროექტში ცვლილებების შეტანა, აღნიშნულის საფუძველზეც შედგა ახალი კორექტირებული პროექტის მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით თანახმად საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისობით შესასრულებელი და დარჩენილი სამუშაოების გაწერით.

3. წარმოდგენილი კორექტირებული კალენდარული გრაფიკის მიხედვით თვეში 30 სამუშაო დღეა, დარჩენილი სამუშოების დასრულება უნდა მოხდეს 4 თვის ანუ 120 სამუშაო დღის პერიოდში (სამშნებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ. და წ.1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“) **გრაფიკში კალენდარული I თვე შეიცვალოს სამუშოთა დაწყების თვის აღნიშვნით თანახმად გაცემული ნებართვისა.**

4. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს შრომის, ელექტრო, ხანძარ-უსაფრთხოებისა და ბუნები დაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით თანახმად საქართველოში მომქმედი სამშენებლო კანონმდებლობისა.

ქალაქ თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №8, პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დამხმარე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების კალენდარული გრაფიკი კორექტირებული პროექტის მიხედვით

ეტაპები	მშენებლობის განხორციელების რიგები და ეტაპები	სამშ. ხანგრძ დღეებში	თვეები და სამუშო დღეები																							
			1 თვე						2 თვე						3 თვე						4 თვე					
			5	10	15	20	25	30	35	40	45	50	55	60	65	70	75	80	85	90	95	100	105	110	115	120
	I რიგის სამუშაოები																									
I	მოსამზადებელი სამუშაოები, დროებითი სათავსების მოწყობა, სარეკონსტრუქციო შენობაზე პრ. გათვალისწინებული ცალკე-ული ელემენტების დაშლა, სამშენებლო ნაგვის გატანა (დასრულებულია)	-																								
II	შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფისირება, გეოდეზურ-დაკვალ-ვითი სამუშაოები (დასრულებულია)	-																								
	II რიგის სამუშაოები																									
III	მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობა, საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე და ნულოვანი ნიშნულის ზევით .(დასრულებულია)	-																								
IV	სახურავის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქ-ციების მოწყობა, საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშოები. (დასრულება)	90								90																
V	ეზოს კეთილმოწყობა, ობიექტის დასუფთავება და ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები	30																						30		

მითითებები: 1. წარმოდგენილი კალენდარული გეგმით გათვალისწინებულია სამუშოთა დაწყება-დასრულება, 4 თვის პერიოდში. თვეში 120 სამუშაო დღეა.

2. კალენდარული გრაფიკის პუნქტებში გათვალისწინებული სამუშაოები არ ნიშნავს მათ დღეებში გაჭიანურებას, მონიშნულია მათი შესრულების პერიოდები შეყოვნებების გათვალისწინებით

შეადგინა ინჟ: ნ. მურჯიკნელი

ი.მ ,,ვერიკო მახვილაძე მშენებლობის
ეკონომიკა და ორგანიზაცია''

მშენებლობის ორგანიზების პროექტი
(კორექტირებული)

ქალაქ თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #8,
პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრის დამხმარე შენობის
სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე

თბილისი
2026 წ

ი.მ ,,ვერიკო მახვილაძე მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია''

მშენებლობის ორგანიზების პროექტი
(კორექტირებული)

ქალაქ თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #8,
პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრის დამხმარე შენობის
სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე



დირექტორი		ვ. მახვილაძე
პრ. მთ. არქიტ.		თ. შაშიაშვილი
პრ. მთ. კონსტრ		ბ. ბარბაქაძე
შეადგინა		ნ. მურჯიკნელი

თბილისი
2026 წ

საერთო ნაწილი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო:

- დავალება მოპ-ის შედგენაზე;

- არქიტექტურულ-კონსტრუქციული საპროექტო დოკუმენტაცია;

- საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;

- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;

- ფოტო მასალა არსებულ მდგომარეობაზე;

-მოთხოვნილებები მოპ-ის შედგენაზე თანახმად მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მარტის დადგენილება №255, მუხლი 18 ,,მშენებლობის ორგანიზების პროექტი'' და მუხლი 20 ,,მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგითობა და ეტაპები''.

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი სიმაღლეზე მუშაოების უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ;

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის #361 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ;

- ამავე დროს მუნიციპალიტეტის არქიტექტორის სამსახური ავალ-დებულებს დამკვეთს სამშენებლო სამუშაოთა დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სხვა საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტიც.

განმარტებითი ბარათი

აღნიშნულ მისამართზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2023 წლის 05 სექტემბერს გაცემილია მშენებლობის ნებართვა ბრძენებით №6647824; მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 05 სექტემბრიდან 2024 წლის 05 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

შეთანხმებული პროექტების მიხედვით უკვე შესრულებულია კალენდარული გრაფიკით გათვალსწინებული სამუშაოების ნაწილი, კერძოდ პირველი რიგის სამუშაოების I - II ეტაპი და მეორე რიგის სამუშაოების III ტაპი დაწყებული IV ეტაპის სამუშაოები, რომლის გარკვეული ნაწილიც უკვე შესრულებულია.

დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე მოხდა შეთანხმებული პროექტში ცვლილებების შეტანა, შეთანხმებული პროექტში დაკორექტირდა მცირედი დეტალები. აღნიშნულის საფუძველზეც შედგა ახალი კორექტირებული მშენებლობის ორგანიზების პროექტი და კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით თანახმად საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისობით შესასრულებელი და დარჩენილი სამუშაოების გაწერით.

1.1. მშენებლობის ორგანიზების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №8, პერტოს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დამხმარე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების ორგანიზების დაგეგმვას რიგითობისა და ეტაპების მიხედვით.

1.2. სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი და მისი სარეკონსტრუქციო დამხმარე შენობა მდებარეობს ავლაბარში, მეტროს სადგურ ,,ავლაბრი''-ს სიახლოვეს, ქეთევან წამებულის გამზირზე.

საავტომობილო მისასვლელი ქეთევან წამებულის გამზირის და ლაგოდეხის ქუჩიდანაა.

1.3. საჯარო რეესტრიდან ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის მიხედვით (ს.კ. 01.17.01.094.003) წითელ ხაზებში მოქცეული ნაკვეთის ფართობია 3084 მ^2. ნაკვეთზე ამჟამად მიმდინარეობს ,,პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის'' ახალი შენობის მშენებლობა, რომლიც უკვე დასრულების ეტაპზეა, ხოლო სარეკონსტრუქციო დამხმარე შენობა საკადასტრო გეგმის ნუმერაციით #8/1 განთავსებულია ნაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილიში.

1.4. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველ თბილისში საცხოვრებელი და დამხმარე შენობა-ნაგებობები რამდენიმე საუკუნოვანი ხანდაზმულობით ხასიათდებიან. სამშენებლო ნორმებითა და წესებით აგურით ნაშენი სახლების ხანმედეგობა (სიცოცხლის უნარიანობა) 120 წლით შემოიფარგლება. დრომ, სეისმურმა ზემოქმედებამ (მიწისძვრებმა), გრუნტების გაწყლიანებამ _ წყალ-კანალიზაციის, თბო-ქსელების დაზიანებებმა აღნიშნულ მისამართზე შემორჩენილი დამხმარე ერთ-სართული შენობაც ავარიული გახადა, მისი ხანდაზმულობა 130 წლამდეა. შენობის ადრეული ნაწილი აგებულია ქართული აგურით,ალიზის წყობაზე, ხოლო მოგვიანებით შესრულებული მინაშენები თეთრი აგურით და სამშენებლო ბეტონის ბლოკებით, რაც კარგად ჩანს წარმოდგენილ ფოტო-მასალაში.

1.5. ადგილზე შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ თეaტრის დამხმარე შენობას (იხ. ფოტო მასალა) უკანასკნელი 30 წლის პერიოდში არ ჩატარებია არც მიმდინარე და არც კაპიტალური რემონტი, ამჟამდ შენობა სავალალო მდგომარეობაშია, შენობის ნაწილი ჩამოშლილია, საძირკვლებში შეიმჩნევა ჯდენითი დეფორმაციები, გამოსულია მწყობრიდან გადახურვისა და სახურავის ხის კონსტრუქციები,

სახურავის შეუკეთებლობის გამო ატმოსფერულმა ნალექებმა ბევრგან გაატანა ჭერში, ჩარეცხა და დაანესტიანა კედლები, რამაც ხელი შეუწყო ფიზიკური ცვეთის მაჩვენებლების გაუარესებას. შენობა სავალალო მდგომარეობაშია. ზემოთ აღნიშნულის გამო მეპატრონეებმა გადაწყვიტეს ნაკვეთზე მდგომი თეატრის დამხმარე შენობაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება სადაც არსებული შენობის ფორმები და ზომები შენარჩუნებული იქნება.

1.6. როგორც აღინიშნა სარეკონსტრუქციო დამხმარე შენობა განთავსებულია ნაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილში, როლომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდა ესაზღვრება ლაგოდეხის ქუჩა, დასავლეთის მხრიდან კი ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.17.01.010.002 განთავსებული სკევრი.

1.7. საკადასტრო გეგმის ნუმერაციით №8/1 სარეკონსტრუქციო შენობა ერთსართულიანი, უსარდაფო, ,,Г''-ებური ფორმისაა, განთავსებულია მოსწორებულ რელიეფზე რომელიც ეფუძნება ლენტურ საძირკველს. შენობის გარე კედლების სისქე 40 სმ-ის. შენობა კონსტრუქციულად არ არის კარკასული. მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს ზემოდ აღნიშნული 40 სმ-იანი აგურის კედლები. სახურავის ქანობიანი, რომლის კონსტრუქცია ხის მასალით არის მოწყობილი და საბურველი თუნუქისაა. არსებული მდგომარეობით მისი ზომები ,,2-4'' ღერძებში - 7,78 მეტრი; ,,3-4'' ღერძებში - 7,32 მეტრი; ,,ა-ბ'' ღერძებში - 11,20 მეტრი, ხოლო ,,ა-გ ღერძიზს გასწვრივ - 14,33 მეტრი; შენობის განაშენიანების არსებული ფართი 195 მ^2 -მდეა. ეზოს მხრიდან მისი სიმაღლე სახურავის კეხამდე 8,94 მეტრი.

სარეკონსტრუქციო შენობის არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

- ნაკვეთის ფართობი - 3084.0 მ^2
- შენობის განაშენიანების ფართი - 195.128 მ^2

- შენობის სათავსოთა საერთო ფართობი - 167,58 მ^2
- სამშენებლო მოცულობა - 916.37 მ^3
  მათ შორის:
  - 0.00 ნიშნულის ზევით - 891.57 მ^2
  - 0.00 ნიშნულის ქვევით - 24.8 მ^2
- შენობის კონსტრუქციული სიმაღლე - 9.94 მ
  მათ შორის:
  - 0.00 ნიშნულის ზევით - 8.94 მ
  - 0.00 ნიშნულის ქვევით - 1.0 მ

სარეკონსტრუქციო შენობის საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3084.3

.განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 306.15

.საერთო ფართობი (კვ.მ).: 233.36

.სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 103.7

.დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 129.66

.სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 916.37

.0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 891.57

.0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 24.8

.შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 10.44

.0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 8.94

.0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.5

.კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 195.7 / 0.1

.კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 306.149 / 0.1

.კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 764.998 / 0.20,00 ნიშნული შეესაბამება აბსოლიტურ ნიშნულს 424.65 მ.

1.8. საპროექტო შენობის რეკონსტრუქცია ითვალისწინებს, არსებული გარე კედლების გამაგრება-გაძლიერებას მათი დემონტაჟის გარეშე. შენობის პარამეტრების ცვლილება არ იგეგმება. შენობის არსებულ შიდა პერიმეტრზე უნდა მოეწყოს რკინა-ბეტონის კარკასი კოლონებით და რიგელებით. შენობის შიდა სივრცეში მოეწყობა ანტრესოლი ასევე რკინა ბეტონის კონსტრუქციით. შენობის არსებული ღიობები შენარჩუნდება არსებულ ზომებში და გამოიცვლება მხოლოდ არსებული შელახული კარ-ფანჯარა (მეტალ-პლასტის და მეტალის კარ-ფანჯრით). გარე კედლებზე მოეწყობა დეკორეტიული ლესვა და შეიღებება საფასადე საღებავით. გადახურვის კონსტრუქცია ასევე გამოიცვლება მთლიანად და საბურველი მოეწყობა შეღებელი, ახალი თუნუქის ფურცლებით არსებული სახურავის ქანობების და პარამეტრების ცვლილების გარეშე.

1.9. სამუშაოთა წარმოებისა და ორგანიზაციის პროექტის შესადგენ ნორმატიულ დოკუმენტს წარმოადგენს სნ და წ 3.01.01.-85 ,,სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია", რომლის დებულებებიც განსაზღვრავენ მის შემადგენლობასა და შინაარს. უპირველს ყოვლისა ვითვლით შესასრულებელ სამუშაოების რაოდენობებსა და მოცულობებს. ვსარგებლობთ არქიტექ-ტურულ ალბომში ჩაკრული სამუშაოების ნუსხით, ციფრობრივ მონაცემებს ვაჯამებთ და ვიყენებთ შენაკრებ მონაცემებს.

1.10. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანე-ლოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესა-ბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქი-ტექტორის მხრიდან.

1.11. სარეაბილიტაციო სამიუშაოთა განხორციელების გეგმიური ხანგძლივობა განსაზღვრულია 4 თვის პერიოდით (იხ. კალენდარული გრაფიკი). სამუშაოთა დასრულება გეგმიურ ვადებში შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ზომიერმა და რბილმა კლიმატურმა პირობებმაც.

1. სამუშაოების ორგანიზების რიგები და ეტაპები

I რიგის სამუშაოები:
I ეტაპი (დასრულებულია) - მოსამზადებელი სამუშაოები

1. **მოსამზადებელი სამუშაოები:** მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, ვადის ათვლიდან უნდა განხორციელდეს ნებართვით მითითებული საჭირო შეთანხმებების და ნებართვების განხორციელება, ასევე უნდა განხორციელდეს საჭიროების შემთხვევაში საინჟინრო ქსელის ჩაჭრა-გადალაგება პროექტების და ნებართვების მიხედვით, შესაბამისი საექსპლუატაციო სამსახურების ჩართულობით. შემდეგ უნდა განხორციელდეს სარეკონსტრუქციო სამუშოებისათვის დროებითი საინჟინრო ქსელების მოწყობა.

ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს:

1.1 დროებითი სათავსების მოწყობა საკადასტრო წითელი ხაზების ფარგლებში. ტერიტორიას არ გააჩნია საკმარისო ფართები საპრარაბო-ინვენტარული ვაგონის და ღია სასაწყობო მოედნის განსათავსებლად, რეკომენდებულია მშენებლობის საწყის ეტაპზე ერთი საპრარაბო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსის მოწყობა, რაც გათვალისწინებულიცაა სამშენებლო გენგეგმით. მომუშავეთა კონტიგენტის მატებასთან ერთად დამატებითი დროებითი სათავსები მოეწყოს უკვე რეკონსტრირებულ შენობაში.

აგრეთვე უნდა განხორციელდეს ქუჩის მხიდან დროებითი ღობის მოწყობა სარეაბილიტაციო შენობის გარშემო – ხის, ლითონის ფურცლების, ფანერის ან სხვა სახის მასალის გამოყენებით, სურვილის შემთხვე-ვაში შეღებილი, ზედ საინფორმაციო ბანერით. ტეროტორია შემოღობილია კაპიტალური ღობით, გააჩნია რკინის ავტოჭიშკარი, შენობის მიმდებარედ არსებული ღობის დაშლა ამჟამად გათვალისწინებული არ არის. რის გამოც დროებითი ღობის მოწყობაც არ იქნება საჭირო. ფეხმავალთა უსაფრთოების მიზნით ქუჩის მხირდან მოწყობილ დროებით ღობეზე მოეწყოს გადახურვა (ე.წ. ქოლგა);

1.2. აგრეთვე უნდა განხორციელდეს სარეკონსტრუქციო შენობაზე პროექტით გათვალისწინებული ცალკეული ელემენტების დაშლა სახურავის ჩათვლით, სამშენებლო ნაგვის შეგროვება და გატანა.

1.3. სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა წყლით და ელ. ენერგიით უნდა მოხდეს არსებული ქსელებიდან, აქტის შედგენით მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

1.4. მშენებლობის პროცესში, სამშენებლო სატრანსპორტო მოძრაობა უნდა განხორციელდეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული სატრანსპორტო სქემისა და ასევე მათი მითითებებისა და ნორმების მიხედვით, მშენებლობის დასრულების შემდეგ უნდა განხორ-ციელდეს აღნიშნული დროებითი სატრანსპორტო სქემის მოხსნა და მოეწყოს ახალი შეთანხმებული სატრანსპორტო მოძრაობის მანიშნებლები.

II ეტაპი (დასრულებულია) - დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება

2. შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება, გეოდეზიურ-დაკვალვითი სამუშაოები: მოსამზადებელი სამუშაოების და მობილიზაციის დასრულების შემდეგ წარმოებს შენობის ღერძული

დაკვალვა და მისი მიბმა რეპერებთან, რაც სრულდება სპეციალისტთა მონაწილეობითა და სათანადო აქტის შედგენით.

თავდაპირველად ამაგრებენ დაკვალვის გარე ქსელს სამშენებლო მოედანზე ნახაზზე მიღებული ღერძების გადატანით ნატურაში. სანიველირო და დგომითი დაკვალვის წერტილები უნდა იყოს გაერთიანებული. ელემენტებისა და კონსტრუქციების გეგმიური და მაღლივი მდგომარეობა, მათი ვერტიკალურობა, ჩასატარებელი დეტალების დაყენების სიზუსტე მოწმდება შენობის შიდა დაკვალვის ნიშნულებიდან.

II რიგის სამუშაოები:

III ეტაპი (დასრულებულია) - მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობა, წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე და ნულოვანი ნიშნულის ზევით.

3.1. მიწის სამუშაოების შესრულების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტრუმენტალური კონტროლი. გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის დარღვევა სასურველი არ არის. ქვაბულის ძირში გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის შენარჩუნება აუცილებელია.

3.2. მიწის სამუშაოების წარმოება და საძირკვლების მოწყობა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად:

- სასურველია მოიხსნას მიწისზედა ჰუმუსირებული ფენა და დასაწყობებულ იქნას ტერიტორიაზე შემდგომში კეთილმოწყობაში გამოსაყენებლად.
- ჰუმუსის მოხსნის შემდეგ **ხელის იარაღებით** განხორციელდება წერტილოვანი საძირკვლისათვის ქვაბულების ამოღება და მოსწორდება

საძირკვლის ძირის ნიშნულზე. ამოღებული გრუნტის ნაწილი გატანილ უნდა იქნას სამშენებლო მოედნიდან.

3.3. მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ საძირკვლების მოწყობის წინ ქვაბულებში უნდა ჩატარდეს შენობის ღერძული დაკვალვა საკადასტრო რუკით გამოყოფილ წითელ ხაზებთან შეთავსებით, ღერძების დამაგრება აუცილებელია უძრავ ელემენტებზე. როგორც წესი ამ დანიშნულებით გამოიყენება დროებითი ან არსებული კაპიტალური ღობე.

3.4. არსებული შენობას ყველა მრიდან ეწყობა წერტილოვანი საძირკვლები (1000X1000X400სმ; 1200X1000X400სმ; 1200X1200X400სმ) მონოლითური რკინაბეტონით, წერტილოვანი საძირკვლები ჩაღრმავებულია ერთ დონეზე და შეკრულია საძირკვლის კოჭებით. საძირკვლის ამოყვანისა და გამკვრივების შემდეგ ხდება მისი გვერდების ამოვსება გრუნტით.

3.5. წერტილოვანი საძირკველბის მოწყობის შემდეგ უნდა მოიტ-კეპნოს ქვაბულის ძირი, მოეწყოს ზედ ბუნებრივი ფენილი ხრეშ-კენჭნარის ბალიში, ფენობრივად დატკეპნილი, მისი დატკეპნის შემდეგ დაეფინოს ზედ ჰიდროსაიზოლაციო ფირი, შემდეგ მოეწყოს ბეტონის მოსამზადებელი ფენა სისქით 10 სმ. შემდეგ უნდა მოეწყოს მონოლითური რკინაბეტონის ფილა. იხ. კონსტრუქციული დოკუმან-ტაცია. **კონსტრუქციული დოკუმენტაციით ნულოვანი ციკლის ნახაზები წარმოდგენილია ალბომის სახით, სადაც კოსტრუქციული ელემენტ-ების მოწყობაზე როგორც ერთზე, ასევე ყველა ელემენტზე კარგად არის მოცემული კონსტრუქციული დოკუმენტაციის სპეციფიკაციებში.**

3.6. საძირკველის ძირის ნიშნულებისც ასევე კონტროლდება გეოდეზიური ინსტრუმენტების გამოყენებით ნიველირით ან თეოდოლიტით. შემოწმების შედეგები უნდა ფიქსირდებოდეს გეოდეზიურ კონტროლის ჟურნალში და უნდა შედგეს შესაბამისი დაკვალვის აქტები.

3.7. მიწის სამუშაოების წარმოება აუცილებელია ინჟინერ სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე აუცილებელია ყველა ეტაპზე პროექტის მთავარი კონსტრუქტორის შეთანხმებები. მოჭრილი მიწა გატანილ უნდა იქნას სამშენებლო მოედნიდან.

3.8. შენობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებული რ.ბ. მონოლითური სვეტები და რიგელები და მონოლითური სართულშუა გადახურვებით. შენობის რეკონსტრუქცია-გაძლიერების მიზნით არსებულ შენობაში უნდა მოხდეს ახალი რ.ბ კარკასის ჩაშენება, რომელზეც მიმაგრდება არსებული აგურის კედლები.

საძირკვლის და იატაკის ფილის გაშრობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მონოლითური რკინაბეტონის სვეტების (400მმX400მმ, 200მმX400მმ), მოწყობა, შემდეგ რიგელების (400მმX500მმ, 200მმX500მმ), ანტრესოლის, კიბის მარშ-ბაქნების და ა.შ. მონოლითური რკინაბეტონის ყველა კონსტრუქ-ციისათვის წინასწარ უნდა მომზადდეს ქარხნული ხის ყალიბი, შემდეგ პროექტის მიხედვით ჩაეწყოს მასში ლითონის არმირებული კარკასი და ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს თითოეული კონსტრუქციის დაბეტონება მიმდევრობით და დაბეტონების ტექნოლოგიის სრული დაცვით. სასურველია დაბეტონების პროცესი შეთანხმდეს პროექტის კონსტრუქტორთან და პერიოდულად სხვადასხვა კონსტრუქციის დაბეტონების დროს შედგეს დაფარული სამუშაოების აქტები შესაბამისი კომპეტენტური ზედამხედველობისა და მშენებლობის დასტურ-ხელ-მოწერით, ასევე დაფიქსირებული ფოტოფიქსაციით. შენობის - სამუშაოთა ჩასატარებლად მიწისზედა სამუშაოების წარმართვა რეკომენდირებულია ელექტრო საწეველას გამოყენებით.

3.9. რკინაბეტონის კარკასის დასრულების პარალელურად ყველა ღია ადგილი უნდა იყოს შემოსაზღვრული უსაფრთხოების ჯებირებით ან

ბადეებით სანამ კედლები იქნება ამოყვანილი, ასევე აივნის გარეშე პერიმეტრიც. სასურველია ღამის განათების მოწყობა ფასადებზე.

IV ეტაპი (დასასრულებელი) - სახურავის მოწყობა: არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები

4.1. კარკასის დასრულება გაშრობის შემდეგ უნდა მოეწყოს სახურავი წყალშემკრებ და წყალჩამომყვან სისტემასთან ერთად. გადახურვის კონსტრუქცია ასევე გამოიცვლება მთლიანად და საბურველი მოეწყობა შეღებელი, ახალი თუნუქის ფურცლებით, არსებული სახურავის ქანობების და პარამეტრების ცვლილების გარეშე.

4.2. სახურავისა და გადახურვის მოწყობის შემდეგ შესაძლებელია გარე და შიდა კედელბის მსუბუქი ბლოკის წყობით ამოყვანა-შევსება. წვრილი ბლოკების შევსება აუცილებლად დამაგრებული უნდა იყოს კედლებთან არმატურის ბადეებით, რომლებიც სიმაღლეზე უნდა დადგეს ბიჯით 600 მმ (ყოველი სამი რიგის შემდეგ). საჭიროა აგრეთვე გათვალისწინებული იქნას შევსების მჭიდრო მიმაგრება მონოლითურ გადახურვასთან, როცა ტიხრის სიგრძე აღემატება 3 მეტრს, მაშინ აუცილებელია მათი მიმაგრება მონოლითურ გადახურვასთან ყოველ 1,5 მეტრში.

4.3. მშენებლობის მიმდევრობითი მეთოდებით წარმართვის თვალ-საზრისით დახურვის შემდეგ ტექნოლოგიურად შესაძლებელია სხვა სამუშაოთა განშლაც, როგორიცაა საბათქაშო-მოსაპირკეთებელი, იატაკების მოწყობა, სამღებრო, პარალელურად უნდა წარიმართოს სანტექნიკური და ელექტროტექნიკური სამუშაოები. სუსტი დენების მონტაჟი, ხანძარ-უსაფრთხოების ქსელები და ა.შ.

4.4. გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები ფასადის მოპირკეთებები უნდა შესრულდეს მიდგმულ ვერტიკალური სახარაჩო სისტემის გამოყენებით.

V ეტაპი - მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, ობიექტის დასუფთავება და ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები.

5.1. ობიექტი ვერ ჩაბარდება ექსპლუატაციაში შენობის სრული დამთავრებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-გამწვანების გარეშე.

5.2. ბოლო თვეებში უნდა განხორციელდეს ეზოს კეთილმოწყობა, აგრეთვე ბოლო თვეებში უნდა დაიგეგმოს მთლიანი ობიექტის დასუფთავება მიმდევრობით და მომზადება ექსპლუატაციაში მისაღებად.

მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია ბაზარზე, ამავე დროს სამშენებლო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მძლავრი საწარმოო ბაზა და ამასთანავე უნდა იყოს დაკომპლექტებული მაღალი თანრიგის მუშებითა და შესაბამისი ინჟინერ ტექნიკური პერსონალით.

სამშენებლო ობიექტი ყოველდღიურად უნდა კონსტროლდებოდეს უსაფრთხოების ინჟინერის სპეციალისტების ქვეშ, საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს უსაფრთხოების კუთხით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გადამზადება.

სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით, არქიტექტურულ, კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებია და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

2. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური სასუალებებით. მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში.

№	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალ
1	2	3	4
1	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის შემოსატანად	სხვადა-სხვა	2
2	ექსკავატორი ჩამჩის ტევადობით 0,25-0,5 მ^3 ტევადობით; (საჭიროების მიხედვით)	–	1
3	სიღრმითი ვიბრატორი	С-3698	1
4	ზედაპირული ვიბრატორი	С -697	1
5	გადასატანი კომპრესორი	СО-45	1
6	შესადუღებელი აგრეგატი	СО-48	1
7	ცემენტის ფენის მოსასწორებელი აგრეგატი	СО-89	1
8	შესალეს-მომასწორებელი აგრეგატი	СО-54	1
9	მობილური ამწე საავტომობილო სვლაზე, სხვადა-სხვა მარკის, იცვლებიან საჭიროების მიხედვით	-	1
11	ელექტროშესადუღებელი აპარატი	კომპ	2
12	ავტოგენური შედუღების აპარატი	კომპ	1
13	ლითონის სახარაჩო სექციები 50 მ^2 ფართობისათვის	კომპ	1
14	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნ-დამჭერი და სხვა	კომპ	2

2.1 რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

3. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად ,,სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და სხვა ნორმატიულ - საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

საქართველოში მოქმედი ,,მშენებლობის უსაფრთხოების წესები“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014 წ. #361 დადგენილებით.) და სნ და წ. ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.) კერძოდ:

3.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

3.2. ბეტონის ტუმბოს გამოყენებისას ნარევის მიწოდება და ჩასხმა ქარგილებში უნდა მოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან.

3.3. ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

3.4. მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

3.5. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვ-ნილებას.

3.6. საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, ლაქის წასმისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.

3.7. საყალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება საიმედობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე. ასევე მოწმდება ბადიის საიმედობაც და წესრიგიანობაც სამაგრების თვითგახსნა რომ არ მოხდეს.

3.8. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით. ამავე

დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

3.9. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტრო კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

3.10. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტრო-ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოს შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

3.11. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტრო-ქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

3.12. ამწე საწეველების და სხვა მანქანა მექანიზმების მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

3.13. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ავტოამწის მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

3.14. აუცილებელია შეზღუდვის საზღვრების მითითება დროებით ღობეზე და სხვა თვალსაჩინო ადგილებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის

შემზღუდავი ფირნიშებთან ერთად და მათი განათების უზრუნველყოფა ღამის საათებში.

3.15. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილების „სიმაღლეზე მუშაოების უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ" აუცილებელია მიწისზედა სართულების ამოყვანისას შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- შენობის სართულის კონტურებზე თუ კედლები და ღიობები შევსებული არ არის, აივნებისა და შენობის გარშემო კონტურის გასწვრივ დადგენილი კონსტრუქციული ფორმით არმატურის დგარებითა და ძელებით უნდა იყოს მოწყობილი გადავარდნისაგან დამცავი მოაჯირები #477 დადგენილების მუხლით 5-ის მოთხოვნილებათა დაცვით;
- ასევე კიბის მარშებისა და ბაქნების გვერდულებიც უნდა დაცვათ დგარებად გამაგრებული არმატურის ღეროებისა და სახელურებით მოწყობილი დროებითი ჯებირებით დადგენილების #477 მოთხოვნილებათა შესაბამისობით, მოაჯირები მათი სიმაღლეებით 120 სმ ფარგლებში.
- მუშები უნდა ატარებდნენ ჩაფხუტებს და ჩაცმულები იყვნენ ბრეზენტოვან სამუშაო სამოსში. სამშენებლო პროცესებში დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალსაც თავზე უნდა ეხუროთ ჩაფხუტები.
- მოწყობილი უნდა იყოს სახანძრო სტენდი ცეცხლ-ჩამქრობებით და საჭირო ხელის იარაღებით.
- მავნე და ფეთქებადსაშიში მასალები ობიექტზე უნდა ინახებოდეს სპეციალურად დაცულ სათავსოში.
- სართულებზე წყალკანალიზაციის მილების ჩასაწყობად დატოვებული ღიობები გადახურული უნდა იყოს ხის ფიცრული ხუფებით.

3.16. ასევე სამშენებლო მოედანზეც უნდა მოეწყოს გამაბრთხილებელი ნიშნები და დაცული უნდა იყოს ნორმატივები მომუშავეთა ყოფნის, გადაადგილების გათვალისწინებით მობილური ამწის მუშაობის პერიოდში,

მეორე სართულის კიდეებზე მუშაობისას შენობის მოშორებით იდგმება და იჭიმება ლენტი და ა.შ. თანახმად საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილებისა #361 „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ.

4. მომუშავეთა და ფეხმავალთა უსაფრთხოება მობილიური ამწის მუშაობის პერიოდში

4.1. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ამწის მუშაობის დროს დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

4.2. ისრის ტრიალი მშენებარე შენობის გარეთ იზღუდება ნახაზზე მითითებულის ფარგლებში. ტვირთის აწევა გადახურვამდე უნდა მოხდეს ავტოტრანსპორიდან შენობის ვერტიკალის გასწვრივ, შემდეგ გადახურვის თავზე გადავლებით სამუშაო ადგილამდე მიტანა, დაშვება და განტვირთვა.

4.3. იკრძალება ისარზე ჩამოკიდებული ტვირთით ისრის შემობრუნება ქუჩის და სამეზობლო ნაკვეთების მხარეს, ცხადია ისრის ტრიალიც ღერძის გარშემო.

4.4. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით.

5. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

5.1. მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

5.2. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვირს გაბნევა სელიტებულ ზონაში.

5.3. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში ბეტონის და ხსნარ-მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

5.4. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

5.5. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.

სარეკონსტრუქციო სამუშაოთა გენგეგმა



ექსპლიკაცია: **1**. სარეკონსტრუქციო ერთსართულიანი დამხმარე შენობა #8/1; **2**. არსებული შენობის ჩამონგრეული ნაწილი; **3**. მშენებარე სომხური დრამატური თეატრი; **4**. არსებული კაპიტალური ღობე, ქუჩის მხირდან მიჰყვება საკადასტრო წითელ ზოლს; **5.** დროებითი სამშენებლო ღობე; ფეხმავალთა უსაფრთოების მიზნით დროებით ღობეზე მოეწყოს გადახურვა (ე.წ. ქოლგა); **6**. ქუჩის მხრიდან წითელი ხაზების გასწვრივ კაპიტალურ ღობეში მოქცეული ავტოჭიშკრი; **7**. ეზოში ავტოტრანსპორტის სამოძრაო გზის მონაკვეთი **8.** მასალა-ნაკეთობებისა და სამშენებლო ნაგვის მოკლე პერიოდით დასაწყობი ადგილი; **9**. საყოფაცხოვრებო და საპრარაბო დანიშნულების ინვენტარული სათავსი **10**. ღაგოდეხის ქუჩა; **11**. საკადასტრო წითელი ხაზი. **12**. მომიჯნავე ნაკვეთები; **13**. თეატრის მშენებლობის პერიოდში მოწყობილი დროებითი სამშენებლო ღობე

მითითება: **1.** სამშენებლო ზოლის გასწვრივ აუცილებელია ეკოლოგიური და ბუნების დაცვითი მოთხოვნილებების დაცვა.

2. სამუშაოები უნდა წარიმართოს შრომის, ელექტრო და ხანძარუსაფრთხოების ღონის-ძიებების გათვალისწისნებით თანახმად საქართველოს მოქმედი სამშენებლო კანონმ-დებლობისა.